სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

ჩიდილი

1992
შაბათი
11
ივლისი
№ 15 (11.1)
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების აქტივის კრების რეზოლუცია

მოიხმინა და განიხილა რა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ ო. ფაცაციას, მილიციის სამმართველოს უფროსის ბატონ მ. რაფავას, რაიონის პროკურორის ბატონ კ. ჭანტურიას ინფორმაციები „ზუგდიდის რეგიონში ადმინისტრაციულ და სამეურნეო ორგანოების მიერ შრომის დისციპლინის ამაღლებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ აღნიშნავს, რომ ამ მხრივ გაწეული მუშაობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

1992 წლის 28 აპრილიდან რეგიონის აქტივის კრებაზე მიღებული რეზოლუციის შესაბამისად თითქოს წარმოება-დაწესებულებათა ნაწილმა და რამდენიმე სკოლამ დაიწყო მუშაობა, სოფლად საგაზაფხულო სამუშაოები განახლების გზას დაადგა, მაგრამ კვლავ იმძლავრა დესტრუქციულმა ძალებმა, ტერორმა, მუქარამ, დივერსიულმა აქტებმა დათრგუნა რეგიონის მოსახლეობა. გააქტიურდნენ დამნაშავე ელემენტები. მკვლელობა, უჩაღობა, ძარცვა, ქურდობა, წარმოება-დაწესებულებათა დარბევა სამწუხაროდ ყოველდღიური ცხოვრების ნორმა გახდა.

განსაკუთრებით გავრცელდა ჩაის მზა პროდუქციის და სხვა სახის საბელმწიფო ქონების უჩაღური გზით დატაცება, რომლის დაცვას დღემდე ვერ ვახერხებთ.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დამნაშავეობის გაძლიერებას ვერ დაუპირისპირეს ერთიანი გონივრული ოპერატიული ღონისძიებები. მილიციის სამმართველო თავისი განყოფილებებით ფაქტიურად უმოქმედოა. თავისუფლად გრძნობენ თავს ავტომატით შეიარაღებული უჩაღები. ისინი სოფ. რუხსა და ცაიშში დღისით მოსახლეობის თვალწინ იარაღის გამოყენებით ძარცვავენ ტრასაზე გამვლელ მოქალაქეებს. ართმევენ ავტომანქანებს, ფულს, პირად ქონებას, ცინიკურად იქცევიან, აუპატიურებენ ქალებს.

ყოველივე ამის მოთმენა შეუძლებელია. მილიციის 360 თანამშრომელი დაუყოვნებლივ უნდა ჩადგეს დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში, ან უნდა გაეცალოს სამსახურს. მილიციის მხრივ ეს ინერტულობა ნაწილობრივ განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ხალხის უმეცარი ნაწილი ქომაგობას უწევს დამნაშავეს და უპირისპირდება კანონის გამტარებლებს.

საჭიროა მოსახლეობა, ხალხის ძირითადი შემადგენლობა მხარში ამოუდგეს მილიციას და დაიცვას ის უგუნურთა გაუმართლებელი შემოტევისაგან.

უკანასკნელ პერიოდში არ იგრძნობა მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია. ამას ხელი შეუწყო ქ. თბილისში მომხდარმა ივნისის ავანტიურამ, რომლის უარყოფითი გამოხდომები ბევრ რაიონში მოხდა.

ადმინისტრაციულ ორგანოებს ნორმალური მუშაობის საშუალება არა აქვთ, დიდხანს დარბეული იყო მილიციის განყოფილება, პროკურატურა, საგამომძიებლო იზოლატორები. სასამართლოები ფაქტიურად არ მუშაობენ. ასეთი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის იბრძვის ყოფილი პრეზიდენტის ე. წ. ვითომ მომხრეები. მათ მიერ დაჭირავებული ბანდიტები, უჩაღები, დივერსანტები, ტერორისტები. საჭიროა ამ ბნელ ძალას დაუპირისპირდეს ხალხის შეგნებული ნაწილი და სახელმწიფოს შეიარაღებული ძალა.

საზოგადოება ითხოვს დადგინდეს უდანაშაულო პიროვნების გოჩა ჯიქიას დედის თვალწინ მკვლელობის ფაქტი, რომელიც ჩადენილია გვარდიელის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე აქტივის კრება ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობას ურჩევს:

1. სახელმწიფო ხელისუფლებამ ცენტრში და ადგილებზე ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიოს ე. წ. დაუმორჩილებლობის კომიტეტის ინსტიტუტის კანონიერება. გავრცელებულია აზრი თითქოს დაუმორჩილებლობისაკენ მოწოდება „ყოს პოლიტიკური ბრძოლის ფორმა. ბრძოლის ეს ფორმა აშკარად მავნელობაა, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის წესით, რაც დაგმობილ უნდა იქნეს.

2. განემარტოს ყველას, რომ ამჟამად ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის შექმნა ეს არის მე-20 საუკუნის დასაწყისის ინდოეთის პოლიტიკის მექანიკური გადმოტანა ჩვენს პირობებში, განდის იდეა იყო ინგლისური კოლონიალიზმის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ყოველგვარი ძალადობის გარეშე, ჩვენ დამოუკიდებლობას მივაღწევთ, ახლა ექსპრეზიდენტის და მის მომხრეთა ბრძოლა პირადი ხელისუფლებისათვის აშკარა ძალადურ ხასიათს ღებულობს, რაც ეწინააღმდეგება განდის მოძღვრებას და უნდა იქნეს დაგმობილი ხელისუფლების და ხალხის მიერ (ეს ფაქტი დადასტურებულია დივერსიების, ტერორიზმის სხვადასხვა აქტებით, ქ. თბილისის უკანასკნელი ავანტიურით).

3. დაუყოვნებლივ ჩამოყალიბდეს ზუგდიდის რეგიონში პოლიციის ახალი სტრუქტურა. მთავარია არა მინისტრის მოადგილეთა მაღალი თანამდებობების და სხვადასხვა განყოფილებების შექმნა, არამედ მუშა-მექანიზმის დაწესებაა, არა ბიუროკრატიული აპარატი, არამედ შეიარაღებული მებრძოლი ჯგუფი და ოპერატიული საქმიანობა უნდა დაუპირისპირდეს უკვე ჩამოყალიბებულ ტერორისტულ დივერსიულ ბანდიტიზმს.

4. შეიქმნას ზუგდიდის დროებითი რეგიონალური კომიტეტი მილიციის და პოლიციის სტრუქტურების ჩამოყალიბების პერიოდში მისი ახალი ჯანსაღი, გამოცდილი და საქმისადმი ერთგული კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, რომელსაც უხელმძღვანელებს სახელმწიფო საბჭოს ადგილობრივი წარმომადგენელი — გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ო. ფაცაცია.

5. მოეთხოვოს პროკურატურას ხისტემატიური და კვალიფიციური კოორდინაცია გაუწიოს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას და კანონის უზუსტესი გატარებისადმი ზედამხედველობით უზრუნველყოს ორგანიზაციების სწორი მუშაობა და გააძლიეროს ბრძოლა დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ. უმოკლეს დროში ამოქმედდეს საგამოძიებლო იზოლიატორის მუშაობა.

6. რაიონის წარმოება-დაწესებულებათა დარბევის ჩაის ფაბრიკიდან და სხვა საწარმოებიდან სახელმწიფო დოვლათის დატაცების ფაქტებზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე ჩატარდეს სრულყოფილი გამოძიება, თუ საქმეები არ არის აღძრული დაუყოვნებლივ აღიძრას. პასუხისმგებლობა დაეკისროს წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებმაც კონტაქტი ვერ დაამყარეს მილიციის განყოფილებებთან. ვერ უზრუნველყვეს დაცვა, რამაც ნაწილობრივ განაპირობა სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება.

7. საზოგადოებას ეცნობოს გოჩა ჯიქიას მკვლელობის გამოძიების შედეგები.

8. რეზოლუცია ცნობისათვის გაეგზავნოს სახელმწიფო საბჭოს. გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში.

1992 წლის 1 ივლისი, ქ. ზუგდიდი.

ბინების მიღების და პრივატიზაციის გოგიერთი პრობლემის შესახებ ქ. ზუგდიდში

ზუგდიდელ მშრომელებს, მთელს მოსახლეობას საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების, საცხოვრებელი ფართობის პრივატიზაციის საკითხებზე რამდენიმე განმარტება გვინდა მივცეთ.

დღეისათვის საცხოვრებელი ფართობის მისაღებად აღრიცხვაზეა სულ 1325 ოჯახი, მათ შორის საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანებაში, საწარმოებში 1005 ოჯახი, საბინაო საამშენებლო კოოპერატივებში კი 320 ოჯახი. მეტად სამწუხარო და სავალალოა, რომ 10 და მეტი წლის განმავლობაში ბინების მიღების აღრიცხვაზე დგას 325-ზე მეტი ოჯახი. მოძველებულ, ავარიულ საცხოვრებელ ფართობში ცხოვრობს 90-მდე ოჯახი, ბევრია მრავალშვილიანი, სხვადასხვა შეღავათების მქონე ოჯახები რომლებიც პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდნენ, ეს ასეთ დროს რესპუბლიკაში არსებულ ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში ყველა ზომებია მისაღები, რომ როგორმე დაკმაყოფილდეს აღრიცხვაზე მყოფთა სამართლიანი მოთხოვნები.

ბოლო 10 წლის მანძილზე თუ გამოვრიცხავთ საუწყებო ბინებს, კომუნალური საცხოვრებელი ბინა ექსპლოატაციაში შევიდა მხოლოდ ერთი 54 ბინიანი საცხოვრებელი სახლი ჩიჩუას ქუჩაზე, ექსპლოატაციაში 1990 წელს უნდა შესულიყო ამავე ქუჩაზე მეორე 54 ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც დღესაც არ არის დამთავრებული. 1984 წლის განფასებებით ამ სახლის ექსპლოატაციაში გაშვებისათვის დარჩენილი იყო 400 ათასი მანეთის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაო, ამის გამო, რომ რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს დღემდე არა აქვს გაფორმებული ხელშეკრულება მშენებელ ორგანიზაციასთან № 12 სამშენებლო ტრესტთან, აქ დაფინანსება ამ მშენებლობისა ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, აქვე მეორე სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგევართ ძვირფასო ზუგდიდელებო. აღნიშნულ სახლში 1990 წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომის 30 ოქტომბრის № 358 გადაწყვეტილებით აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებზე მოხდა ბინების წინასწარი მიმაგრება-განაწილება, რადგან ამ დროსაც ისევე როგორც დღეს ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ერთი ნაწილის მხრიდან ბინებში უკანონოდ შესახლებას, სხვა სერიოზულ გართულებებს.

მიდიოდა დრო, სახლი ვერ შევიდა ექსპლუატაციაში, დაიძაბა სიტუაცია, იყო საჩივრები, განცხადებები სხვადასხვა ინსტანციებში და ქ. ზუგდიდის პრეფექტურის განკარგულებით თავიდან იქნა შესწავლილი ბინების განაწილების სისწორე, 1991 წლის ოქტომბრის თვეში სპეციალურმა კომისიამ დაიწყო საკითხის შესწავლა, და დღემდე აქ რაიმე საბოლოო დოკუმენტი არა გვაქვს. ამ დროისათვის დაუმთავრებელ საცხოვრებელ სახლში სხვადასხვა მოქალაქეები ზოგი საქალაქო საბჭოს აღმასკომის განაწილებით, ზოგი პრეფექტურის კომისიის დასკვნების მოშველიებით, ზოგი სრულიად ყოველგვარი აღრიცხვაზე აყვანის გარეშეც კი შედის თვითნებურად, კარებზე აწერენ თავიანთ გვარებს, დაობენ, ერთი სიტყვით სრული ქაოსია ამ საქმეში.

გვინდა განვმარტოთ, რომ საბინაო კანონმდებლობა ჯერჯერობით არავის არ შეუცვლია. ჩვენ გავითვალისწინებთ ზემოთ ნახსენები კომპეტენტური ორგანოების (საქალაქო საბჭოს აღმასკომის, პრეფექტურის კომისიის დასკვნებს თუ ასეთი არსებობს) და მივმართავთ მოსახლეობას რომ კანონიერების სრული დაცვით მოხდება ჩიჩუას ქუჩაზე 54 ბინიანი საცხოვრებელი სახლის განაწილება სახლის ექსპ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

შინაგან საქმეთა სამმართველოს მიმართვა ზუგდიდის მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამოქალაქენო! ზუგდიდელებო! თითოეული თქვენთაგანისათვის ცნობილია ბოლო პერიოდში, თუ როგორ დაიძაბა და დაიმუხტა ოპერატიულ ვითარება, რაც სამართლიან აღშფოთებას იწვევს თითოეულ საღად მოაზროვნე პიროვნებაში. მომრავლდა ისეთი ანტიზოდები, რომლებმაც სხვადასხვა მაქინაციებითა და თვალთმაქცობით ხელთ იგდეს იარაღი და მას წარმართავენ თავიანთი ბოროტი ზრახვების ხორცშესასხმელად. მოსახლეობის ძარცვისა და მათი სიცოცხლის ხელყოფისათვის. პატიოსანი კაცის შეგნებაში რწმენა დაეკარგა მილიციის მუშაობას, მილიციას, როგორც თქვენთვის ცნობილია, არც ერთ პოლიტიკურ პარტიასა თუ ორგანიზაციას არ ეკუთვნის, მისი წმინდათაწმინდა მოვალეობაა ყოველი მოქალაქის დაცვა მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა.

ლოგიკურად დაიბადება კითხვა: ვინ სჩადის დანაშაულს? რა კატეგორია ძაბავს ოპერატიულ ატმოსფეროს? ამაზე პასუხი მხოლოდ ერთია: ეს ის კონტინგენტია, რომელიც მოჩვენებითად პოლიტიკას ამოფარებული დღენიადაგ ფიქრობს ავკაცობაზე, ყოველგვარ სისაძაგლეზე მიდის პირადი გაძდიერებისათვის და მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ერის გაჭირვებას.

დღეს ისე, როგორც არასოდეს მილიციას სჭირდება ხალხის თანადგომა, ჩვენი გაძარჯვება ბოროტ მოქმედებაში ბრძოლაში ხალხზეა დამოკიდებული. ჩვენი კურსი სწორედ ხალხის ნდობის კურსი უნდა იყოს. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საზოგადოების თანადგომაზე, მაითან მჭიდრო კავშირზე ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა-განმტკიცება. მილიცია მარტო უძლურია, თუ მასები არ აღმოუჩენენ დახმარებას. არქიმედის თქმისა არ იყოს, „მომეცით საყრდენი წერტილი და მე გადავაბიენებ დედამიწას“ და სწორედ ეს საყრდენია ხალხი, საზოგადოების ფართო მასები, ის, ვისაც გული შესტკივა თავის ქალაქზე, რაიონზე, საქართველოზე.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბოროტმოქმედების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის სხვა რაიონებიდან ჩამოსულ პირებზე, უმრავლესს კი სჩადის ადგილობრივი მაცხოვრებელი ჩვენი მეზობელი, ნათესავი, მეზობლის ნათესავი და ა. შ. ეს ყველაფერი ხდება ჩვენს თვალწინ, ჩვენ ვიცით ვინ არიან, მაგრამ რატომღაც პირში წყალს ვიგუბებთ „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ ეს სხვისი ჭირი არაა, ეს ყველას ჭირია და ამ ეპიდემიასთან ბრძოლა თითოეული ჩვენთაგანისათვის სასიცოცხლოა. გამჯდარი მოვალეობა უნდა იყოს.

შექმნილ სიტუაციაში ვერ ვიტყვით, რომ მილიციას ზედმიწევნით ასრულებს თავის დანიშნულებას, მაგრამ ნურც ის დავიწყდება, რომ საკუთარი სიცოცხლის ფასად გვიჯდება ბოროტმოქმედებთან ბრძოლა და ეს კერძო ინტერესებიდან გამომდინარე კი არ არის. კარგად მოგეხსენებათ ჩვენი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები უამრავია, ზოგიერთმა შეიძლება თქვას, მილიციამ აკეთოს თავისი საქმე, ჩვენ მათთან რა გვესაქმებაო, მაგრამ ჩვენ ხომ თქვენი შვილები, ნათესავები, ახლობლები, თანამოქალაქენი ვართ? ჩვენც ხომ მშობლები ვართ და თუ თქვენი მხარდაჭერა და თანადგომა არ გვექნა ძალიან გაგვჭირდება.

ჩვენ რწმენას გამოვთქვამთ, რომ ჩვენი მიმართვა არ დარჩება „ხმად ძღალდებლისა უდაბნოსა შინა“, გვჯერა, რომ საზოგადოება ნათლად შეაფასებს მას, სწორად აღიქვამს ჩვენს მიმართვას მათდამი „ძალა ერთობაშია“ და დროა ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა წარვმართოთ ბოროტებასთან ბრძოლის საქმისათვის.

შს ზუგდიდის სამმართველოს კოლეგიური.

პოეტის მეოთხე წიგნი

ამ დღეებში გამომცემლობა „მერანმა“ კიდევ ერთი ახალი წიგნი მიაწოდა პოეზიის მოყვარულებს. საუბარი გვაქვს ანტონ არნანიას პოეტურ კრებულზე „მე შენით ვცოცხლობ“. ბატონ ანტონს წარდგენა არ სჭირდება ზუგდიდელების წინაშე. ჩვენი მკითხველი დიდი ხანია იცნობს მას, როგორც პოეტს, პედაგოგსა და ომის ქარიშხალგამოვლილ კაცს. ამ ახალ წიგნს, რომელიც რიგით მეოთხეა მის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში, წინასიტყვაობის მაგიერ წამძღვარებული აქვს გულწრფელი სტრიქონები: „ბევრი ვიარე და ბოლოს ვიგრძენ გავლილი გზების სიშორე, სიგრძე. მოვიბრდღვინე და გავხედე (როცა... იმ ძნელსავალის მომინდა კოცნა“.

ამ პოეტურ თქმაში ნათლად არის გამჟღავნებული სიკეთის მთესველი, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი ადამიანის პოზიცია, აწმყოს გადასახედიდან წარსულისადმი პატივის მიმგებელი კაცის მენაწყობა.

მამულის სიყვარული, სიმართლისათვის თავდადება, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული სატკივარი, გარდაცვლილ მოყვასთა სახეები, საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვეობის უმძიმესი ჟამი, —აი უმთავრესი თემატიკა ანტონ არნანიას ამ ახალი კრებულისა, რომლის რედაქტორი გახლავთ ლია შარვაშიძე. წიგნის ტირაჟია ხუთი ათასი ცალი, გამოვიდა ავტორის ხარჯით და ღირს სამი მანეთი.

კრიმინალური ქრონიკა

ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოდან შეგვატყობინეს

არა და არ ცხრება შეიარაღებულ მძარცველთა თარეში. თითქმის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენად იქცა იარაღის მუქარით ავტომანქანის წართმევისა და გატაცების ფაქტები.

ასე მაგალითად:

27 ივნისს, დაახლოებით 14 საათზე ახალსოფლის ტერიტორიაზე ათი ავტომატით შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ კამოს კოოპერატივ „ჩარენცის“ მთავარ ბუღალტერს გ. მინოსიანს, რომელსაც მოსკოვიდან ქ. კამოში გადაეყვანა ორი ახალი ვაზ—2121 მარკის ავტომანქანა და ძალის გამოყენებით ორივე წაართვეს.

* * *

28 ივნისს პისტოლეტებით შეიარაღებულმა პირებმა, დღისითა, პარიზის ქუჩაზე, თბილისის ცენტრალური მომარაგების ავტოსაწარმოს კუთვნილი „კაბაზი“ (სახ. ნომერი დ. 22—80 გრ) წაართვეს. ღამეს, მცხეთის რაიონის მკვიდრს მიხეილ ციხიშვილს, რომელსაც ავტომანქანაში ჰქონდა შენახული პირადი ფული —6000 მანეთი.

* * *

ბოროტმოქმედთა კლანჭებს ვერც ულიანოვსკის მხარის ქ. დიმიტროვგრადში მცხოვრები ვალერი ახველელიძე გადაურჩა— მას ავტომანქანა ვაზ—2109 (სახ. ნომერი ვ 38—14 ულ) და პირადი ნივთები წაართვეს სოფელ ცაიშის ტერიტორიაზე 28 ივნისს.

* * *

28 ივნისს დაკავებულ იქნა მესტიის რაიონის სოფელ მულახში მცხოვრები ანზორ გიორგის ძე მარგიანი, რომელმაც მოქალაქე ნ. ოყუჯავას, მეორე ჯგუფის ინვალიდს, გამოსტაცა ხელჩანთა და პირადი ნივთები, გატაცებული ნივთები ამოღებულია.

* * *

29 ივნისს, გვიან ღამით, ავტომატის ტყვიებით დაცხრილულ იქნა სოფელ ნარაზენში მცხოვრები ბ. დ. ...აიას სახლი.

* * *

ზუგდიდის სამშენებლო სამმართველოს დირექტორისტმა, ლერი პართენის ძე მალანიამ სოფელ ჭითაწყარის ტერიტორიაზე მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა. რის შედეგადაც სამწუხაროდ, ადგილზე გარდაიცვალა ფეხით მოსიარული 7 წლის ლალი თოდუა. ლ. მალანია დაკავებულია.

ბინების ძიღების და პრივატიზაციის ზოგიერთი პროblemის შესახებ ქ. ზუგდიდში

(დასასრული)

ლუტაციაში შესვლის შემდეგ. მანამდე კი ვთხოვთ ამ სახლში შესახლებულ მოქალაქეებს, მშენებლებს მისცენ საშუალება მუშაობის გაგრძელებისა სანამ ამ საქმეში ადმინისტრაციული ორგანოები ჩაერეოდნენ. სხვა განმარტებას ჩვენ მოქალაქეებს ვერ მივცემთ.

აქვე გვინდა მოგცეთ განმარტება, პატივცემულო ზუგდიდელებო, საცხოვრებელი ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებაც. ეს ყველაფერი ხორციელდება მოქალაქეთა ბინის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის დაჩქარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემის, მისი მოვლა პატრონობისათვის ჩვენთან ერთად თქვენივე დაინტერესების მიზნით, კომუნალური საცხოვრებელი ბინები ნებაყოფლობით, შეღავათიანი პირობებით გადაგეცემათ უსასყიდლოდ. პრივატიზაციის ობიექტია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის საცხოვრებელი სახლი, მათ შორის სარეკონსტრუქციო, კაპიტალურად გასარემონტებელი ბინა. საბინაო კომუნალური მეურნეობის გაერთიანებასთან ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის განკარგულებით შექმნილია სპეციალური კომისია ბინების პრივატიზაციისა.

ბინების საკუთრებაში გადაცემა ხდება ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით, შეიძლება ის გაფორმდეს ოჯახის ერთ-ერთ წევრზე ან თქვენივე სურვილისამებრ გადაეცეთ საერთო საკუთრებაში. სხვა ტექნიკურ საკითხებზე ყველა ინფორმაციას მიიღებთ საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანების სახლმმართველობაში.

საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში გადაცემისას მოქალაქეები იხდიან სახელმწიფო ბაჟს, რომელიც განისაზღვრება საცხოვრებელი სახლის ქირისა და კომუნალური მომსახურეობის გადასახადის ორი წლის ოდენობით 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

მივმართავთ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის, 1991-1992 წლების პერიოდში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულ ზუგდიდელ პატრიოტთა ოჯახებს, ასევე მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ამ ომში დაღუპულთა ოჯახებს რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილებით თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადისაგან.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრ კომუნალურ საცხოვრებელ სახლში საჭიროა რემონტი. თანხებს ჩვენივე შესაძლებლობებით გამოვნახავთ, მაგრამ იმედია რომ პრივატიზაციის კამპანიის დროულად ჩატარება ხელს შეუწყობს ჩვენი ქალაქის იერსახის გაკეთილშობილებასაც, ერთობლივად ჩავებმებით საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის, გამწვანების, გარემოს ეკოლოგიური გაჯანსაღების საქმეში.

თავისმხრივ საბინაო კომუნალური მეურნეობის გაერთიანების კოლექტივის სახელით მოგმართავთ პატივცემულო ზუგდიდელებო, რომ საცხოვრებელი ბინების განაწილებისა და პრივატიზაციის საქმეში კანონიერების სრული დაცვით მოვემსახურებით თითოეულ თქვენთაგანს.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის საბინაო კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანების საბინაო და ბინების პრივატიზაციის კომისიები.

გასაჭირზე ითბობენ ხელს

მოქალაქე მაგული მაქაცარია, მცირეწლოვანი ბავშვების დედა ტელეფონით დაგვიკავშირდა და თავისი გულისწყრომა გამოხატა გაზით მომსახურების მუშაკების მიმართ:

ისედაც ათასგვარ გასაჭირში ჩავარდნილებს—თქვა მან,— ზედგვემატება სიძნელენი გაზით მომსახურებაში, იმ ასმაგად გაზრდილ ფასს, რომლის გადახდა მოსახლეობას უჭირს, კიდევ ემატება თვითნებურად. ვიცით, რომ მძღოლებს საწვავის შოვნა თვითონ უხდებათ და რაღაც გამართლება აქვს ფასის მომატებას. ვიფიქრეთ, გაზის კანტორას მივაკითხავთ, იქნებ იქ მოგვცენ შეღავათებით ნაკლებ ფასში ბალონი. ნურას უკაცრავად, იქაც 150 მანეთი გადაგვახდევინეს.

ნუთუ გაზკანტორის მუშაკები ამ მძიმე დროშიც მოსახლეობის გასაჭირზე ითბობენ ხელს

სარედაქციო კოლეგია

გულისხმიერება მკურნალია

31 წელი ვიმუშავე მასწავლებლად, ამჟამად ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი. ბედმა მარტოხელობა მარგუნა. ერთადერთი ჩემი ნუგეში ქრისტეს რწმენაა. ეს რწმენა მაძლებინებს აქამდე.

სიკეთეს ვემსახურები და კეთილი ადამიანებიც მხვდება არაიშვიათად. ასეთი აღმოჩნდნენ ზუგდიდის ავტოსადგურის მუშაკებიც, კერძოდ ამ დაწესებულების ბუღალტერი, რომელიც დამეხმარა თბილისში უფასოდ გამგზავრებაში..

ნ. ფიფია.

დედა შურა, მამა ვლადიმერი, მეუღლე ქეთო, შვილები გოჩა, გიორგი, მიხეილი, ძმა ჯუღელი, და მიმოზა, სიდედრი ლონდა, ცოლისძმა ამირანი, რძლები: ლუარა, დალი, ლეილა, ნეოლინა, მამიდები, ლუშა, ღაღუ, ბაბუცა, სიძეები: გერმანე, ბოჩია ჭაავები, ძმისშვილები: ხათუნე, ფატიმა, დისშვილი მიხეილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლონათესავები იუწყებიან

ჯემალ ვლადიმერის ძე სხულუხიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 ივლისს 15 საათიდან, დაკრძალვა 14 ივლისს, გამოსვენება ერისთავის პირველი შესახვევი 24-დან 18 საათზე.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 2000. შეკ. №166